მერაბ კალანდაძე

ნაპოლეონი სხვა რაკურსით

შესავალი

ნებისმიერ საუკუნეს განასახიერებენ ადამიანები. განსაკუთრებით გამოჩენილი ადამიანები. ინგლისელი ისტორიკოსის არნოლდ ტოინბის თქმით „ეს შემოქმედებითი უმცირესობა“.

რა შემთხვევაში შეიძლება იყოს პოლიტიკური მოღვაწე დიდი ადამიანი. ინგლისელი ისტორიკოსი ჯეიმზ ელტონი ხაზს უსვამს ორ გარემოებას. ერთ შემთხვევაში ის მთლიანად უნდა აკმაყოფილებდეს თავის ეპოქას, ხოლო მეორე შემთხვევაში ის ბევრით უნდა უსწრებდეს მას. რამდენად შეესატყვისებოდა ნაპოლეონი ამ კრიტერიუმს? შეიძლება ითქვას, რომ ის ამ ორივე მოთხოვნას, მეტად თუ ნაკლებად, აკმაყოფილებდა. ეს არ არის ნაპოლეონის იდეალიზაცია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ის შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს.

ამის გამო ნაპოლეონის უსაზღვრო ხოტბა დიდება, რაც ძალუმად იგრძნობა აპოლოგეტურ ლიტერატურაში (ა. ტიერი, ა. სორელი, ა. ვანდალი, ლ. მადლენი, ედ. დრიო, ფრ. მასონი, ა. ლევი, ა. კასტელო) ცხადია, უადგილო იქნება. აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონის თაყვანისმცემელთა წრე მარტო ისტორიკოსებით არ შემოიფარგლება და გაცილებით უფრო ფართო სპექტრს მოიცავს. ისტორიკოსებს გვერდში ამოუდგნენ გამოჩენილი მწერლები. მათ დიდების გვირგვინი დაადგეს ნაპოლეონს. ამის მთავარი ტონისმიმცემები იყვნენ გამოჩენილი გერმანელი მწერალი, ვაიმარელი ბრძენი, იოჰან ვოლფგანგ გოეთე და ინგლისელი პოეტი ჯორჯ ბაირონი. ისტორიკოსებს და მწერლებს არ ჩამორჩნენ ფილოსოფოსები. ნაპოლეონზე ძალიან მაღალი აზრის იყო და საქებარ სიტყვებს არ იშურებდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი. ნაპოლეონის მეხოტბეთა შორის ვხედავთ მხატვრებს. დავიდი, გრო, ჟერიკო, კომპლიმენტებს არ იშურებდნენ ნაპოლეონის მიმართ და მხოლოდ დადებით კონტექსტში მოიხსენიებდნენ. ნაპოლეონის პიროვნებით აღტაცებული იყო და თავის აღფრთოვანებას ვერ ფარავდა დიდი გერმანელი კომპოზიტორი ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი. ასე განსაჯეთ, ნაპოლეონს თაყვანისმცემლები გამოუჩნდნენ ექიმებს შორისაც. ის იყო შვედი დანტისტი სვენ ფორშევუდი. ისინი გვხვდებიან ბიზნესმენებს შორისაც. მათი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო კანადელი მილიარდელი ბენ ვეიდერი. და ბოლოს დავძენთ, რომ ნაპოლეონს დიდ პატივს მიაგებდნენ გამოჩენილი პოლიტიკოსები. მათ ლიდერად შარლ დე გოლი და სერ უინსტონ ჩერჩილი გვევლინებიან. გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ჟორჟ ლეფევრი დასძენდა, რომ „ნაპოლეონი იყო საუკუნის ადამიანი“ ინგლისელი ისტორიკოსი ჯონ ემერი აქტონი, ნაპოლეონს უწოდებს „ყველაზე დიდ გენიას რომელიც გამოჩენილა დედამიწის ზურგზე“. ასე აღმოცენდა „ოქროს ლეგენდა“. ეს ყველაფერი სავსებით სწორია, მაგრამ ქებაშიც სასურველი იქნება ზომიერების დაცვა.

რა თქმა უნდა, ნაპოლეონის პიროვნებით ყველანი აღფრთოვანებული არ ყოფილან. მას გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები, რომლებიც მის სახელს მხოლოდ აუგად იხსენიებდნენ და უარყოფით კონტექსტში მოიაზრებდნენ. ასეთი მტრული დამოკიდებულება ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას და ნაპოლეონის მოღვაწეობის ადეკვატურ სურათს როდი გვიხატავს. ამგვარი მიდგომა იგრძნობა ლევ ტოლსტოის უკვდავ რომანში „ომი და მშვიდობა". ისტორიოგრაფიაში ამგვარი დამოკიდებულების მთავარ ტონისმიმცემად პიერ ლანფრე და ჟან შარასი გვევლინებიან. მას ისტორიკოსებმა „შავი ლეგენდა" უწოდეს, რომელიც საგანგებოდ შეისწავლა ფრანგმა ისტორიკოსმა ჟან ტიულარმა.

მეთოდი

ნაშრომი ეფუძნება ისტორიის შემეცნების კვლევის მეთოდს, რომელიც ითვალსიწინებს წარსულის შესწავლას ეპოქის შესაბამისი გამოწვევების გათვალისწინებით, რაც საშუალებას გვაძლევს, შეძლებისდაგვარად სრულად და ობიექტურად გავიაზროთ კონკრეტული საკითხის შესწავლა.

შედეგები

ნაშრომი მიზნად ისახავს ქართულ საზოგადიოებას კიდევ უფრო სრულყოფილი და ამომწურვი შთაბეჭდილება შეუქმნას ნაპოლეონის მრავალფეროვანი მოღვაწეობის შესახებ. ის არ იყო მხოლოდ ერთპიროვნული მმართველი, ტირანი და დიქტატორი ამავე დროს ის არის რეფორმეატორი კანომდებელი. ნაპოლეონის მმართველობა „პროგრესული ცეზარიზმის" ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ.

მსჯელობა

ალბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ფართო საზოგადოების წარმოდგენაში არსებობს სტერეოტიპი, რომ ნაპოლეონი იყო დიდი მხედართმთავარი, დამპყრობელი, ერთპიროვნული მმართველი, დიქტატორი. ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ მარტო ამის თქმა საკმარისი არ იქნებოდა და ნაპოლეონის მოღვაწეობაზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. ასეთი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. შეიძლება ითქვას, რომ ნაპოლეონის თვალისმომჭრელმა, ტრიუმფალურმა, სამხედრო წარმატებებმა, ანუ როგორც ისტორიკოსები უწოდებდნენ „სამხედრო ბონაპარტიზმმა" დაჩრდილა მისი მოღვაწეობის მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რეფორმები ანუ როგორც მას ისტორიკოსები უწოდებდნენ „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმი". ამის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს და ნაპოლეონის მოღვაწეობის შესწავლა ცალმხრივ ხასიათს შეიძენს. ეს კი მიუღებელი იქნება. ეს უკვე სხვა რაკურსია. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ეს საშუალებას მოგვცემს ნაპოლეონის მმართველობაზე კიდევ უფრო სრულყოფილი, ამომწურავი, წარმოდგენა ჩამოგვიყალიბდეს.

ამ რთულ საკითხზე სიტყვის თქმას, უმთავრესად, ის გარემოება გვაბედინებს, რომ მასზე ქართულ ენაზე დღემდე თითქმის არაფერი დაწერილა წინამდებარე ნაშრომი სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს, წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და კომპილაციას წარმოადგენს. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად არ გამოდგება. ის ქართულ საზოგადოებას და, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას დაეხმარება ამ საკითხში სწორი კრიტერიუმის შერჩევის საქმეში, დააკვალიანებს და ამ საკითხზე ზოგად წარმოდგენას ჩამოუყალიბებს სტუდენტებს დაეხმარება მის დასწავლაში. ამიტომ მას წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, მნიშვნელობა აქვს და გამოკვეთილი კულტურტრეგერული დატვირთვა გააჩნია.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გაუმართლებელი პასიურობა, რომელსაც ამ მიმართულებით ქართველი სამართალმცოდნეები იჩენენ. დღემდე არ გაგვაჩნია ამ საკითხზე დაწერილი სპეციალური ნაშრომი. ეს ქართული ნაპოლეონიანას აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. სასურველი იქნება თუ ამ მიმართულებით ვითარება სასწრაფოდ გაუმჯობესებას დაიწყებს. გადაიდგმება პირველი ქმედითი ნაბიჯები. ეს, ცხადია, ძალიან კარგი იქნება. ამ პრობლემისადმი ასეთი გულგრილი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მასში, პირველ ყოვლისა, რევოლუციამდელი და საბჭოთა ისტორიოგრაფიის გამოძახილი უნდა დავინახოთ, რომელიც ამ თემატიკისადმი ნაკლებ დაინტერესებას იჩენდა, მხოლოდ ბოლო წლებში შეიცვალა ვითარება უკეთესობისაკენ (Баботов, 1998) სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ქართულ სინამდვილეში, ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა. ამ საკითხს მოკლედ განიხილავენ ის ისტორიკოსები, რომლებიც სწავლობდნენ ნაპოლეონის ცხოვრებას და მოღვაწეობას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ცოტაა. ჩვენი აზრით, პროგრამა მინიმუმის შესრულება ქართული ნაპოლეონიანას დადებით მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ. საქმე ეხება საკითხის პოპულარიზაციას და არა მეცნიერულ კვლევას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ვაკუუმს ნაწილობრივ ავსებს ჩვენი ორი ნაშრომი: მონოგრაფია „ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა საქართველოში“ (კალანდაძე, 2021). აქ ეს საკითხი სულ სხვა კუთხითაა დანახული. აქცენტი კეთდება ქართულ კონტექსტზე, ეს სიახლეა და ამ საკითხის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება. მეორე ნაშრომი „ნაპოლეონი დიქტატორი და კანონმდებელი (კალანდაძე, 2011). ისევე როგორც ეს ნაშრომი, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებს, წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია, კომპილაციას წარმოადგენს. კულტურტრეგერული მნიშვნელობა ეკისრება.

***

1804 წლის 21 მარტს მიიღეს „სამოქალაქო კოდექსი“, რომელსაც ხშირად უწოდებენ „ნაპოლეონის კოდექსს“. 1807 წელს დღის სინათლე იხილა კომერციულმა კოდექსმა, ხოლო 1811 წელს მიღებული იქნა „სისხლის სამართლის კოდექსი“ (ნაპოლეონის ჩანაფიქრს კარგად, შეასხა ხორცი იურისტმა ჟან ეტიენ პორტალისმა) ეს საინტერესოა. ნაპოლეონის მოღვა-

წეობას სხვა რაკურსით დაგვანახებს და დაგვეხმარება მასზე კიდევ უფრო სრულყოფილი, ამომწურავი, წარმოდგენის ჩამოყალიბებაში. აქ ძირითადად აქცენტი კეთდება ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე, რეფორმებზე, „ადმინისტრაციულ ბონაპარტიზმზე“, რომელიც ბოლოს და ბოლოს თავს აღწევს ჩრდილს და ბოლოხანებში სულ უფრო წინა პლანზე გამოდის. (Баботов 1998). ეს, ცხადია, ძალიან კარგია და სწორი ნაბიჯია.

დავიწყოთ იმით, რომ ნაპოლეონი საკმაოდ მაღალი აზრის იყო თავის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე და მას მის მიერ მოგებულ ბრძოლებზე მაღლა თუ არა, მათ გვერდით აყენებდა. „მე ისტორიაში შევალ არა იმით, რომ მოვიგე 40 დიდი ბრძოლა, არამედ ის, რაც მარად უკვდავი იქნება ეს არის ჩემი სამოქალაქო კოდექსები“. (История... 1973. 123.) შეიძლება ითქვას, რომ ნაპოლეონი არაფერს არ აჭარბებდა. მის სიტყვებში, უდავოდ, იყო ჭეშმარიტების რაციონალური მარცვალი. შარლ დე გოლის თქმით, „ნაპოლეონმა ერთნაირი გენია ჩადო სამხედრო ხელოვნებაში და მმართველობაში“. (Туган-Барановский, 1990. 2.) როგორც ხედავთ, ის ნაპოლეონის მოღვაწეობის ორივე ასპექტზე აკეთებს აქცენტს და მისი საქმიანობის ორივე მხარეზე საკმაოდ მაღალი აზრის ჩანს. შარლ დე გოლის ასეთი ზეაწეული ტონი გასაკვირი არ უნდა იყოს. მისი სახით საქმე გვაქვს პირწავარდნილ ბონაპარტისტთან. სხვათა შორის, მათ მმართველობას შორის გაცილებით უფრო მეტი მსგავსება იყო, ვიდრე განსხვავება. ერთმა თანამედროვემ მას „განათლებული ბონაპარტიზმი“ უწოდა (Туган-Барановский, 1990. 2.)

XX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსის კურტ ჩერჩის თქმით „ნაპოლეონმა საფუძველი ჩაუყარა XIX საუკუნის სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციულ და სოციალურ სტრუქტურას“ (Туган-Барановский, 1990. 15) გერმანელი ისტორიკოსი ჰანს შმიტი აღნიშნავს, რომ „ნაპოლეონი იყო არა მხოლოდ დამპყრობელი, არამედ მან განსაზღვრა ის გზა, რომლის მიხედვითაც წარიმართა ევროპის განვითარება არა მარტო XIX საუკუნეში, არამედ მნიშვნელოვანწილად XX საუკუნეში. საძირკველი ჩაუყარა იმ საფუძვლებს, რომელსაც დღესაც ემყარება ევროპის განვითარება“. (Французские… 1997, 465.) მისი თანამემამულე პიტერ კლაუს ჰარტმანი ფიქრობს, რომ “ნაპოლეონმა საძირკველი ჩაუყარა საფრანგეთის საზოგადოების ახალ სტრუქტურას, რომელმაც იარსება არა მარტო XIX საუკუნეში, არამედ, ძირითად შტრიხებში მოაღწია დღემდე. „ძალაუფლება და ერთიანობა ეროვნულ ნიადაგზე“. წესრიგის რაციონალური დამყარებით“. (Французские, 1997, 23.) ებერჰარდ ვაისი მიიჩნევს, რომ „ნაპოლეონი არ ყოფილა მარტო დამპყრობელი და დიქტატორი. ის იყო სახელმწიფო მოღვაწე, რომლის საქმეებმაც მასზე მეტხანს იცოცხლა“. (Французские 1997, 421-422). შესაძლოა, ეს ხმამაღალი ნათქვამი იყოს, მაგრამ ის, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და გააჩნია თავისი რეზონი აზრი. ემოციების უკან რეალობა მოჩანს.

ნაპოლეონის განდიდებამ ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში და არა მარტო აქ, ცალმხრივი ხასიათი შეიძინა. ეს, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ ძირითადად აქცენტი კეთდებოდა ნაპოლეონის

ტრიუმფალურ სამხედრო წარმატებებზე, „სამხედრო ბონაპარტიზმზე“ ხოტბას ასხამდნენ მის ბრწყინვალე გამარჯვებებს. ხოლო მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობა „ადმინისტრაციულ ბონაპარტიზმის“, მისი თვალისმომჭრელი სამხედრო წარმატებების, ჩრდილში აღმოჩნდა. მის შესწავლას გაცილებით უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა, შედარებით უკანა პლანზე გადაინაცვლა. პერიფერიულ თემად გვევლინებოდა. უახლესი ისტორიოგრაფია ცდილობს გაასწოროს ეს შეუსაბამობა და სულ სხვა და გაცილებით უფრო სწორი აქცენტები დაისვას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და წინგადადგმული ნაბიჯია. (Баботов 1998.) ამას აქვს მნიშვნელობა და საშუალებას მოგვცემს ნაპოლეონის საქმიანობაზე კიდევ უფრო სრულყოფილი, ამომწურავი, წარმოდგენა შევიქმნათ.

უნდა ითქვას, რომ ამ სტერეოტიპის გამოძახილი გვხვდება ქართულ ისტორიოგრაფიაში. პრიორიტეტულია, აქცენტი კეთდება, ნაპოლეონის ტრიუმფალურ სამხედრო წარმატებებზე, „სამხედრო ბონაპარტიზმზე“. ის საყოველთაო ყურადღებას იპყრობს, ყველას აინტერესებს, მოსწონს, ხიბლავს, ეს ადვილი გასაგებია, ეს ხომ ნაპოლეონია. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და მასში, უწინარესად, ვ. ტარლეს წიგნის გავლენის გამოძახილი შეიძლება დავინახოთ. მისი საქმიანობის მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი, თუ მეტად არა, მხარე. მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რეფორმები „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმი“, მართალია, უყურადღებოდ არ რჩება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ პირველის ჩრდილში მოექცა, შედარებით უფრო პერიფერიულ თემად გვევლინება და დამხმარე ფუნქცია დაეკისრა. შარლ დე გოლის თქმით „ნაპოლეონმა ერთნაირი გენია ჩადო სამხედრო ხელოვნებაში და მმართველობაში“. ეს სწორი მიდგომა იყო, მაგრამ ამის გამო ნაპოლეონის გაიდეალება, ცხადია, ზედმეტია. მიუღებელი უნდა იყოს.

პირველ ყოვლისა, მიზანშეწონილი იქნება შევჩერდეთ პროფ. ივანე მენთეშაშვილის და პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილის წიგნზე „ნაპოლეონი“, რომელიც საგანგებოდ ეხება ნაპოლეონის კოლორიტულ ფიგურას, სხვა შემთხვევაში ამ თემატიკამ ძირითადად ასახვა ჰპოვა სასწავლო საცნობარო ლიტერატურაში. აქ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა უყურადღებოდ არ რჩება და შეძლებისდაგვარადაა განხილული. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ პრიორიტეტული მაინც პირველია, მერე მოდის მეორე. სტერეოტიპი უცვლელი რჩება. ნაპოლეონი არის დიდი მხედართმთავარი, დამპყრობელი, ერთპიროვნული მმართველი, დიქტატორი.

უნდა ითქვას, რომ ამ თემას ძალიან მოკლედ, გაკვრით, შეეხება პროფ. ივ. მენთეშაშვილი თავის წიგნში „ნაპოლეონი“ (მენთეშაშვილი, 2016) ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ წიგნის პლუსია. მას კარგად უნდა ჰქონდეს გაცხადებული ნაპოლეონის კოდექსების ისტორიული მნიშვნელობა, მისი პროგრესული ხასიათი. ის მასზე დადებითი აზრის უნდა ჩანდეს. მან თავისი წვლილი შეიტანა აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციის საქმეში და ამის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნება. ის მხოლოდ ამ ზოგადი მიმოხილვით შემოიფარგლება და მის კონკრეტულ განხილვაში არ შედის. შეიძლება, ეს ნაწილობრივ წიგნის სამეცნიერო-პოპულარული

ხასიათითაც იყოს განპირობებული და მაინც ეს ძალიან ცოტაა. ეს მეტად ზოგადია და კონკრეტიკა აკლია. სასურველი იქნებოდა მასალას კომპაქტურად, ერთ ადგილზე, დალაგება და გადმოცემა. ეს გაუადვილებდა მკითხველს სათქმელის აღქმას. ეს მხოლოდ მომგებიან ქულებს შეძენდა, შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა, მის წიგნს ნაპოლეონზე და მის მოღვაწეობაზე უფრო სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას შეგვიქმნიდა, ფაქტობრივად, კადრს მიღმა რჩება კოდექსის ძლიერი და სუსტი მხარეები. რა თქმა უნდა, კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. ეს მხოლოდ ჩვენი სუბიექტური სურვილებია.

ამ თემატიკას ეხება პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილი თავის საინტერესო წიგნში ნაპოლეონზე. ის ამ საკითხზე კონკრეტულად ჩერდება. ხაზს უსვამს მის ისტორიულ მნიშვნელობას. ის ატარებდა პროგრესულ ხასიათს. ახალი დროის პირმშოა და განმანათლებელთა მოძღვრების გამოძახილია. ის ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობას დადებით შეფასებას აძლევდა და მასზე მაღალი აზრისაა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ საკითხზე მისი მსჯელობის პლუსია. საკითხისადმი მიდგომა არის მეცნიერული. აღნიშნულია ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები და შეძლებისდაგვარად ცდილობს ახსნას მისი გამომწვევი მიზეზები. წიგნში არ შეინიშნება ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის იდეალიზაცია, რაც იგრძნობა აპოლოგეტურ ლიტერატურაში და არც მის ბურჟუაზიულ-კლასობრივ შეზღუდულობაზე აქცენტის დასმას, რაც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში და ძველი ინერციით აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილია. (ლომსაძე, 1998. 92) ზოგიერთი საკითხის შემდგომი დახვეწა, სრულყოფა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ შეიძლება იქნას.

ამ თემას მოკლედ განიხილავენ სხვა ქართველი ისტორიკოსები და მისი გამოძახილი, უპირატესად, გვხვდება სასწავლო საცნობარო ლიტერატურაში. ნაპოლეონის იმიჯი უცვლელი რჩება. აქცენტი კეთდება მის ბრწყინვალე გამარჯვებებზე, „სამხედრო ბონაპარტიზმზე“, ხოლო „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმი“, მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობა, კვლავ პერიფერიულ თემად რჩება, შედარებით ჩრდილში მოექცა. დამხმარე ფუნქცია ეკისრება. სტერეოტიპი უცვლელია. ნაპოლეონი იყო დიდი მხედართმთავარი, დამპყრობელი, ერთპიროვნული მმართველი, დიქტატორი. რეალობა ცოტა სხვაგვარადაა და გაცილებით უფრო რთული და მრავალწახნაგოვანია. მისი მოღვაწეობის პალიტრა გაცილებით უფრო მრავალფეროვანია. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მარტო ამის თქმა, საკმარისი არ უნდა იყოს და ნაპოლეონის საქმიანობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ეს ცალმხრივია. ნაპოლეონი არ იყო არც „აიაჩოელი დიოკლეტიანე“, როგორც ამას ხაზს უსვამდა ფრანგი ისტორიკოსი იპოლიტ ტენი და არც „ევროპელი ჩინგიზ ხანი“, როგორც ამას, სტალინის ძალისხმევით, ამტკიცებდა 30-40-იანი წლების საბჭოთა ისტორიოგრაფია. ნუ გავაუბრალოებთ მის ნიჭს, ტალანტს. საქმე ასე მარტივად როდია. ნაპოლეონი რთული პიროვნება იყო.

„კოდექსები“ წარმოადგენს ახალი დროის პირმშოს. გამორჩეული პროგრესული ელფერი დაკრავს და საფუძვლად უძევს განმანათლებელთა იდეები. ის წარმოადგენს ტომას ჰობსის (1588-1679). ჯონ ლოკის (1632-1704). და ჟან-ჟაკ რუსოს (1712-1778) შეხედულებების სინთეზს, ნაზავს. უმთავრესი მათგანი იყო კანონის წინაშე თანასწორობა. მეორე მთავარი იდეა, რომელიც საფუძვლად უძევს „კოდექსებს“ გახლავთ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა. აქ მოცემულია საკუთრების კლასიკური განმარტება. მოისპო ძველი უთანასწორობანი და ცალმხრივი პრივილეგიები. ის ჩაანაცვლა „ხელშეკრულებამ“ და „მხარეთა თანასწორობამ“. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის კიდევ ერთ პლუსს წარმოადგენს „სინდისის თავისუფლება“. ნაპოლეონი რჯულშემწყნარებლობის პოლიტიკას ახორციელებდა. „ქვეყნის ყოველი მცხოვრების უფლებაა თავისი სურვილით „აირჩიოს“ თუ რომელი რელიგიის მიმდევარი იქნება იგი და როგორ აღასრულებდა ღვთისმსახურებას“. ამავე დროს დაცული იყო ათეისტების უფლებებიც. კოდექსში პირველად იყო ხაზგასმული ებრაელთა თანასწორობა სახელმწიფოს სხვა მცხოვრებლებთან“. (ცისკარიშვილი, 1994, 439) ამიტომ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ბურჟუაზიულ კლასობრივ შეზღუდულობაზე აპელირება, რაც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, მიუღებლად მიგვაჩნია. ნაპოლეონმა იურიდიულად გააფორმა საფრანგეთის დიდი რევოლუციის სოციალური მონაპოვარი. შეინარჩუნა იაკობინთა აგრარული კანონმდებლობა. საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შემდეგ ინდუსტრიული ცივილიზაციის განვითარება შეუქცევად ხასიათს იძენს. ბიძგი მიცემული იყო. მთავარი, სწორედ, ეს გახლდათ. „კოდექსების“ ისტორიული მნიშვნელობა, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ის არ იზიარებდა მონტესკიეს იდეას ხელისუფლების განაწილების შესახებ. ეს პოლემისტური მუხტი ჩადებულია თვით კოდექსების შინაარსში. აქცენტი კეთდება ძლიერ ხელისუფლებაზე. ერთმმართველზე. აქ შეიძლება ჰობსის გავლენის გამოძახილი დავინახოთ.

ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაიდიალება, რაც ძალუმად იგრძნობა აპოლოგეტურ ლიტერატურაში, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ის შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოაჩენს ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობას და მის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ მას ღირსებები უფრო მეტი გააჩნდა, ვიდრე ნაკლი, მაგრამ ჰქონდა სუსტი მხარეები და ამის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ამას ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაიდიალებამდე მივყავართ. ეს კი მიუღებელია. მისთვის ფრიად ნიშანდობლივი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების დომინანტი საკანონმდებლოზე. ეს გულისხმობდა „ძლიერი ხელისუფლების“ არსებობას, ეს იმით გამოიხატებოდა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება დამოკიდებული აღმოჩნდა აღმასრულებელზე. აღსანიშნავია, რომ პროფ. დიმიტრი ცისკარიშვილი ეხება რა, ამ თემას მასზე რატომღაც კრინტს არ ძრავს, დუმილით უვლის გვერდს, რაც ამ საკითხზე მისი მსჯელობის

აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. (ცისკარიშვილი, 1994. 439-440, კალანდაძე, 2021. 130-133). სავსებით სწორია აპელირება იმის თაობაზე, რომ ნაპოლეონის კანონმდებლობაში გენდერული თანასწორობა დარღვეული იყო. (ცისკარიშვილი, 240. ლომსაძე, 92). მაგრამ მოდით ნუ ვიქნებით ძალიან მკაცრები ნაპოლეონის მიმართ და მას დღევანდელი გადასახედიდან ნუ განვსჯით. მაშინ ხომ ეს საკითხი ასე აქტუალურად არ იდგა.

დავიწყოთ იმით, რომ ნაპოლეონის რეჟიმს ავტორიტარული ხასიათი მიანიჭა თავად ნაპოლეონმა. მისი და სიესის პროექტს შორის ძირითადი განსხვავებას იყო ფორმასა და სტრუქტურაში. ნაპოლეონი სიესის მსგავსად ფიქრობდა, რომ სახელმწიფოს შენობა წარმოადგენს პირამიდას, რომლის მწვერვალზე დგას მხოლოდ ერთი სავარძელი. ეს მისი სავარძელია. სიესი სულ სხვაგვარად ფიქრობდა. მისი პროექტის თანახმად, დიქტატურის დამყარება გამორიცხული იყო. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. მას პირამიდის მწვერვალი სხვაგვარად წარმოედგინა. ეს იყო სწორი მოედანი, სადაც იდგა რამდენიმე ათეული სავარძელი, რომელიც განკუთვნილი გახლდათ პოლიტიკური ელიტისათვის. ამ ორ პროექტს შორის მსგავსება იმაში მდგომარეობდა, რომ ორივე მათგანი უარყოფითად ეკიდებოდა არჩევნებს და სახალხო წარმომადგენლობას. (Туган-Барановский, 1990, 29).

„კოდექსები“ კარგად გვიჩვენებს იმ პრინციპულ განსხვავებას, რომელიც არსებობდა ერთის მხრივ ნაპოლეონის მმართველობას და მეორე მხრივ კი სტალინის და ჰიტლერის რეჟიმს შორის. საყურადღებო რაკურსია. ამ საკითხზე შეჩერება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ზოგიერთი ისტორიკოსი ცდილობს ნაპოლეონის მმართველობა განიხილოს, როგორც თანამედროვე ტოტალიტარული რეჟიმის წინამორბედი და ასე განსაჯეთ, რომ ფაშისტურ რეჟიმსაც კი ადარებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს კეთდება ცოტა სხვაგვარად, სტალინთან მიმართებაში, რაც, ჩვენ პირადად, დამაჯერებელი არ გვეჩვენება. როგორც წყაროებიდან ჩანს, მიუხედავად ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობისა, სახელმწიფო მანქანის მთელი სიმძლავრისა, მისი დამსჯელი ორგანოებისა, რეპრესიები იყო მეტად უმნიშვნელო. ეს საინტერესოა. აი კიდევ ერთი პრინციპული განსხვავება, რომელიც არსებობდა ნაპოლეონის მმართველობასა და ჰიტლერის და სტალინის რეჟიმს შორის. ამის გვერდის ავლა, წაყრუება, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიყალიბებს.

კონსტიტუციური უფლებები ირღვეოდა. ენგიენის ჰერცოგის დახვრეტა, ჟერმენა დე სტალის დევნა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტოტალურ ტერორს ადგილი არ ჰქონია. ისე როგორც არ ყოფილა მასობრივი წინააღმდეგობა. არ ყოფილა მასობრივი დახვრეტები მშვიდობიან დროს. ნაპოლეონის მმართველობას და ჰიტლერის და სტალინის რეჟიმს შორის არსებული ერთ-ერთი პრინციპული განსხვავება, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. სიკვდილის განაჩენი გამოჰქონდათ ძალიან იშვიათად და ისიც კონკრეტულად და დამტკიცებულ ქმედებაზე. და ბოლოს რაც მთავარია სახელმწიფო არ ერეოდა სასამართლო საქმეში. ეს იყო კიდევე ერთი განსხვავება, რომელიც არსებობდა ნაპოლეონის მმართველობას და

ჰიტლერის და სტალინის რეჟიმს შორის. მიუხედავად მათი ერთპიროვნული მმართველობისა უნდა ითქვას, რომ მათ შორის ძალიან ბევრი განსხვავება იყო, რომლის გვერდის ავლა აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს როდი გვიხატავს. ამიტომ მათი შედარება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათოდ შეიძლება მივიჩნიოთ. უნდა დავეთანხმოთ სერ უინსტონ ჩერჩილს, როდესაც 1940 წლის დეკემბერში თავის გამოსვლაში ჰაროუში, დასძენდა. „მე კატეგორიულად უარვყოფ რაიმე შედარებას ბატონ ჰიტლერს და ნაპოლეონს შორის. მე არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო მიცვალებულს“. XX საუკუნის ცნობილი ჰოლანდიელი ისტორიკოსი პიტერ ჰეილი დასძენდა. „ფიურერის გვერდით ნაპოლეონის სახელის მოხსენიების დროს უნებლიედ თავს გრძნობ დამნაშავედ და გსურს პატიება თხოვო ნაპოლეონს“. თანამედროვე საფრანგეთის შორეული ფესვები ნაპოლეონის მმართველობასთან ასოცირდება. ამის მსგავს ვერაფერს ვიტყვით ჰიტლერზე და სტალინზე. აქ სრულიად საპირისპირო სურათს ვხედავთ. ნაცისტური გერმანიიდან არაფერი არ შემორჩა. ვფიქრობთ, იგივე შეიძლება გავიმეოროთ სტალინზე. მისი ქმნილება სოციალიზმი ისტორიამ სანაგვეზე გადაისროლა. უფრო მართლზომიერი იქნებოდა ისინი ნაპოლეონს კი არ შევადაროთ, არამედ ერთმანეთს, როგორც ამას აკეთებს ინგლისელი ისტორიკოსი, ალენ ბულოკი.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი მიდგომა თავს იჩენს ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, ოღონდ ცოტა სხვა რაკურსით. ჰიტლერი სტალინმა ჩაანაცვლა. ცხადია, მხედველობაში გვაქვს კონსტანტინე გამსახურდიას შედევრი „მთვარის მოტაცება“, სადაც ის როგორც ორ ძლიერ პიროვნებას ნაპოლეონს და სტალინს ერთმანეთს ადარებდა. სტალინის ნაპოლეონზე მაღლა დაყენება უხერხულად მიგვაჩნია და საკამათო შეიძლება იყოს. (კალანდაძე, 2008, 87-97). კიდევ ერთხელ დავძენთ. ყველაზე უფრო მართლზომიერი იქნებოდა სტალინის შედარება ჰიტლერთან, როგორც ამას ინგლისელი ისტორიკოსი ბულოკი ჩადის, (Буллок, 1994).

ნაპოლეონის გამოცხადება „რევოლუციის მესაფლავედ“, როგორც ამას, სტალინის ძალისხმევით, ჩადიოდა საბჭოთა ისტორიოგრაფია 30-40-იან წლებში, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და შეიძლება ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას. ნაპოლეონი არ იყო არც „აიაჩოელი დიოკლეტიანე“, როგორც ამას ხაზს უსვამდა ფრანგი ისტორიკოსი იპოლიტ ტენი და არც „ევროპელი ჩინგიზ ხანი“, როგორც ამან სტალინის მცდელობით, ფართოდ მოიკიდა ფეხი სტალინური ხანის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ნაპოლეონის რეჟიმის კონტრრევოლუციურ ტენდენციებზე აპელირება ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას და გადაჭარბებული შეიძლება იყოს. ძნელია დავეთანხმოთ გერმანელ მარქსისტ ისტორიკოს აკად. ერნსტ ენგელბერგს თითქოსდა „ნაპოლეონი განასახიერებდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის არადემოკრატიული ფრთის წარმომადგენელს“ ამგვარი შეფასება ხისტად მიგვაჩნია და შესიტყვების სურვილს ბადებს. „ნაპოლეონი რეალისტი პოლიტიკოსი იყო. მას კარგად ესმოდა, რომ მისი მდგომარეობა, მისი ხელისუფლების სტაბილურობა მჭიდრო გენეტიკურ კავშირში იყო რევოლუციის სოციალური მონაპოვარის აღიარებასთან.

სხვათა შორის, ამის თაობაზე, ის ლაპარაკობდა ძალიან ბევრს და, როგორც ეტყობა, გულწრფელად“, (Туган-Барановский, 1990. 38) ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ნაპოლეონის აგრარული პოლიტიკა. ის მკვეთრად გამოკვეთილ პროგრესულ ხასიათს ატარებდა. ეს, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატებოდა, რომ მან ძალაში დატოვა იაკობინთა აგრარული კანონმდებლობა. ფრანგმა გლეხმა შეინარჩუნა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი. პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მიწა, მამული. ამიტომ, იყო რომ ფრანგი გლეხი პირდაპირ აღმერთებდა ნაპოლეონს. ავსტრალიელმა ისტორიკოსმა, სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის პროფესორმა, მარტინ ლაიონსმა, დამაჯერებლად ცხადყო, რომ ნაპოლეონმა იურიდიულად გააფორმა და განამტკიცა საფრანგეთის დიდი რევოლუციის შედეგები“. (Сироткин, 2000. 305) ბიძგი უკვე მიცემულია. თანდათანობით ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი შეუქცევად ხასიათს იძენს. “ნაპოლეონმა აბსოლუტიზმს მიაყენა ძლიერი დარტყმა, რომლისგანაც ის წელში ვეღარ გასწორდა, სწორედ ამაში მდგომარეობდა იმ გმირული ეპოპეის ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც მის სახელთანაა დაკავშირებული“(Тарле,1957.9)

სერ უინსტონ ჩერჩილის თქმით, რომელიც ნაპოლეონის ერთ-ერთი დიდი თაყვანისმცემელი იყო, ნაპოლეონს შეეძლო არა მარტო ნგრევა, არამედ შენება. ის არ იყო მარტო დამპყრობელი. ნაპოლეონის სახით, საქმე გვაქვს ერთპიროვნულ მმართველთან, დიქტატორთან, რომელიც ამავე დროს იყო კანონმდებელი, რეფორმატორი. მან მძლავრი ბიძგი მისცა ინდუსტრიული ცივილიზაციის ჩამოყალიბებას. საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შედეგად, სამრეწველო გადატრიალების პროცესი, ინდუსტრიული საზოგადოების განვითარება, მოდერნიზაცია შეუქცევად ხასიათს იძენს. „ყველა გზას თავისუფალ მეწარმეობასთან მივყავართ“.

ნაპოლეონი ამას აკეთებდა ძალისმიერი მეთოდებით, განუწყვეტელი ომების პირობებში, რასაც მოყვა უამრავი მსხვერპლი. ეს იმ რთული ვითარებიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ნაპოლეონის ომების სახით საქმე გვაქვს „პროგრესის ბარბაროსულ ფორმასთან“. ახალი იდეები ფრანგებს ხიშტებით შექონდათ, მაგრამ დაპყრობილ ტერიტორიებზე განახლების დანერგვა მაინც ხდებოდა. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი. რამდენად ღირდა ყველაფერი ეს ამდენი მსხვერპლის ფასად? ამ კითხვას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. ფრანგი ისტორიკოსი ფრანსუა ფიურე გულისტკივილით აღნიშნავდა. „არაფერი არაა იმაზე ძნელი გასაგები, თუ რას მიაღწია ნაპოლეონმა თავისი გაუთავებელი ომების ფასად“. საკითხი არის ფრიად აქტუალური. კარგი კითხვაა.

ნაპოლეონის ომებისადმი ფრანგი ისტორიკოსის ამგვარი სკეპტიკური მიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო და მასში საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი მისი უარყოფითი დამოკიდებულების ლოგიკური გაგრძელება შეიძლება დავინახოთ. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს. ისინი ურთიერთზემოქმედებენ. მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს. ჩვენი აზრით ეს სწორი არ იქნება.

ფრანგი ისტორიკოსის გულისტკივილი ადვილი გასაგებია და მასში მიუღებელს ვერც ვერაფერს ვხედავთ. ის სავსებით სწორია. ეს გახლავთ მედლის ერთი მხარე. მას გააჩნია მეორე მხარე, რომელიც, რა თქმა უნდა, ასევე გასათვალისწინებელია. ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი ცალმხრივობა, რომლის ალბათობა არსებობს. ეს იმით გამოიხატება, რომ აქცენტი კეთდება არა პოზიტივზე, არამედ ნეგატივზე. ვერ ვიტყვით თითქოს ეს სისხლი ამაოდ დაიღვარა და ნაპოლეონმა ვერაფერს მიაღწია. სინამდვილეში ეს მთლად ასე როდი იყო. საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვანი. ბიძგი მიცემულია. სამრეწველო გადატრიალების პროცესი, ახალი ინდუსტრიული ცივილიზაციის ჩამოყალიბება, მოდერნიზაცია, საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შედეგად შეუქცევად ხასიათს იძენს. უკან გზა არ არსებობს. „ყველა გზას თავისუფალ მეწარმეობასთან მივყავართ“. XIX საუკუნის შუა ხანებში წარმატებით დასრულდა სამრეწველო გადატრიალება. იბადება ახალი ინდუსტრიული ცივილიზაცია. ნაპოლეონის ომებმა დიდი როლი შეასრულა იმ პროგრესული ძალების კონსოლიდაციის საქმეში, რომლებსაც წილად ხვდათ განესაზღვრა ევროპის ისტორიის მომავალი. რა თქმა უნდა, პროგრესი უმტკივნეულო ხასიათს არა ატარებდა და, ბუნებრივია, გააჩნდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამ შემთხვევაში ჩვენ მეტად ფრთხილად უფრო იქითკენ ვიხრებით, რომ შუქი მეტია ჩრდილზე. ნაპოლეონს კარგად ეხერხებოდა, როგორც ნგრევა, ისე შენება. მან დაანგრია ძველი დრომოჭმული რეჟიმი და ხელი შეუწყო ახალი ინდუსტრიული საზოგადოების განვითარებას, ნაპოლეონის დროს ეს მიმდინარეობდა გაუთავებელი ომების პირობებში, რომელმაც გამოიწვია უზარმაზარი მსხვერპლი. ეს იყო პროგრესის ჩრდილოვანი მხარე. ნაპოლეონის მოღვაწეობა წარმოადგენს მოდერნიზაციის პროცესის ერთ-ერთი ვერსიას, ვარიანტს. ნაპოლეონის დროს ის ხორციელდებოდა ძალისმიერი მეთოდებით. ამიტომ ნაპოლეონის არც იდეალიზაცია რაც იგრძნობა აპოლოგეტურ ლიტერატურაში და არც მიწასთან გასწორება მხოლოდ აუგად მოიხსენიება. მიზანშეწონილი არ იქნება. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. მისი მოძებნა ადვილი არ იქნება, რადგან მსაჯულები ნაპოლეონის შეფასებისას სუბიექტურები არიან. ზოგს ნაპოლეონისადმი სიმპათია მოეძალება, ზოგს კი პირიქით მისადმი ანტიპათია დაძლევს. მათი შერიგება არ იქნება. ყოველთვის იქნებიან მისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები და ეს დავა, კიდევ დიდხანს გასტანს და არასოდეს არ დასრულდება. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი. ჰქონდა კი ნაპოლეონს სხვა არჩევანი? ამას პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია. ეს გაუთავებელი ომები, რომელიც სავსებით სამართლიანად არ მოსწონს ფრანგ ისტორიკოსს, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და პირველ ყოვლისა, ნაპოლეონის რეჟიმის სპეციფიურ, თავისებურ, ხასიათში უნდა ვეძიოთ და, უწინარესად ნაპოლეონის რეჟიმის ლეგიტიმაციასთან ასოცირდებოდა. ეს იყო მთავარი მოტივი, რომელიც მას ახალ-ახალი აგრესიისაკენ უბიძგებდა ხელს. მისი ხელისუფლების ლეგიტიმაცია გამარჯვება იყო. სავსებით მართლზომიერი იყო, რომ პირ-

ველივე სერიოზული წარუმატებლობის შემდეგ, ის ჩამოაცილეს პოლიტიკურ ასპარეზს. ფრანგი ისტორიკოსი ჟან ტიულარი აღნიშნავს, რომ „აი ეს განსხვავებაა ლუი XIV და ნაპოლეონს შორის. ლუი XIV მარცხის შემთხვევაშიც მეფედ რჩებოდა. ნაპოლეონი კი არა“ (ტიულარი, 2016. 407 Ревякии, 2001, 28) უნდა ითქვას, რომ ნაპოლეონს დიდი არჩევანი არ გააჩნდა და სასურველი იქნება ეს გათვალისწინებული იქნას. თავის მთავარ ამოცანას ნაპოლეონი ხედავდა ევროპის რეფორმირებას საფრანგეთის მსგავსად. ის ფართოდ ნერგავდა ფრანგული კანონმდებლობას ანექსირებულ ტერიტორიებზე. ფრანგებს ახალი იდეები დაპყრობილ ქვეყნებში ხიშტით შექონდათ. მაგრამ დაპყრობილ ტერიტორიაზე განახლების დანერგვა მაინც ხდებოდა. ამას აქვს მნიშვნელობა. ამის გამო ნაპოლეონის განდიდება უადგილო იქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ ევროპაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეების გავრცელება გაგრძელდა ნაპოლეონის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ ახლა მან სულ სხვა ხასიათი შეიძინა. თუ ნაპოლეონის დროს ეს ხორციელდებოდა განუწყვეტელი ომების პირობებში, რომელსაც უზარმაზარი მსხვერპლი მოყვა, მისი დამარცხების შემდეგ მან სულ სხვა ხასიათი მიიღო და შედარებით უფრო ლიბერალური ფორმა შეიძინა. მიზანი იგივე რჩება. შეიცვალა მხოლოდ მისი განხორციელების მეთოდები. ნაპოლეონი ცდილობს ამ რთული ვითარების დალაგებას, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ღირსებები და ნაკლი. „ნაპოლეონი წმენდდა ევროპის ფეოდალიზმის ავგეოსის თავლებს“. პროგრესი ხორციელდებოდა ძალისმიერი გზით. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მსგავსად, ნაპოლეონის ომების სახით საქმე გვაქვს „პროგრესის ბარბაროსულ ფორმასთან“.

ერთპიროვნული მმართველობისადმი სწორხაზოვანი დამოკიდებულება ძალზე აუბრალოებს, ამარტივებს, საქმის რეალურ ვითარებას და ამ რთულ თემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. საკითხი არის რთული და მრავალწახნაგოვანი. ერთპიროვნული მმართველობისადმი ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური დამოკიდებულება გამართლებული არ უნდა ჩანდეს. პირველ ყოვლისა, უნდა გამოვიდეთ იმ მოცემულობიდან, რომ ერთპიროვნული მმართველობა, დიქტატურა, არ გახლავთ ერთგვაროვანი. არსებობს მათი სხვადასხვა ფორმა. მათი მნიშვნელობა ერთნაირი არ გახლავთ. განსხვავებას შინაარსობრივი, ხარისხობრივი, დატვირთვა გააჩნია. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ნაპოლეონის რეჟიმი ცეზარისტულ ხასიათს ატარებდა. ავტორიტარული, დიქტატორული ხასიათით გამოირჩეოდა. მაგრამ არის განსხვავება, რომლის უყურადღებოდ დატოვება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. იტალიელი ანტონიო გრამში აღნიშნავდა, რომ არსებობს ცეზარისტული რეჟიმის ორი ნაირსახეობა. ეს გახლავთ „პროგრესული ცეზარიზმი“ და „რეაქციული ცეზარიზმი“. რა შემთხვევაში შეიძლება იყოს პირველი და რა შემთხვევაში კი მეორე? სასურველი იქნებოდა გათვალისწინებული იქნას არა ზოგადი სოციოლოგიური სქემები, არამედ ამოსავალი უნდა გახდეს კონკრეტული ისტორიული გარემო. პროგრესულ ცეზარიზმთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ჩარევა ხელს უწყობს პროგრესული

ძალების წარმატებას, თუმცა გარკვეული კომპრომისის ხარჯზე, რომელიც მოპოვებულ წარმატებას ოდნავ ზღუდავს. რეაქციული ცეზარიზმის დროს სახელმწიფოს ჩარევა ხელს უწყობს კონსერვატიული ძალების აღზევებას. (Грамши, 1959. 185-186. Туган-Барановский, 1990, 47-48) ჩვენ უფრო იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ ნაპოლეონის რეჟიმი „პროგრესული ცეზარიზმის“ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. (ანთაძე.... 2005. 115, კალანდაძე, 2011. 301 კალანდაძე, 2021. 143) ამერიკელმა ისტორიკოსმა ჰერბერტ ბრაუნმა ნაპოლეონის რეჟიმს „ლიბერალური ავტორიტარიზმი“ უწოდა. (მიქაბერიძე, 2020. 233) ჩვენი აზრით, მათ შორის გაცილებით უფრო მეტი მსგავსება არსებობს, ვიდრე განსხვავებაა. ის ფორმაშია და არა შინაარსში. ჩვენ ეს საკითხი ასე გვესახება.

ნაპოლეონის რეჟიმს ხშირად აღიქვამდნენ როგორც სამხედრო დიქტატურას. სხვათა შორის, ეს მოსაზრება გვხვდება გასაბჭოებამდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში. აი რას ვკითხულობთ დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში. „გენერალი ბონაპარტის იდეალს ის შეადგენდა, რომ სამოქალაქო ორგანიზაცია, სრულიად სამხედრო ორგანიზაციისათვის დაემსგავსებინა: მოხელეები მისთვის ოფიცრები იყვნენ, მისი ქვეშევრდომნი კი - სამოქალაქო წყობის ჯარისკაცები“ (უზნაძე... 1920. 120) აქ მინიშნება ნაპოლეონის სამხედრო დიქტატურაზე, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ ამგვარ მიდგომას ძალიან ბევრი მომხრეები ყავდა, როგორც მაშინ, ისე ახლა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ის, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ცნობილი რუსი ისტორიკოსის პროფ. პავლე ვინოგრადოვის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს ექოდ გაისმა ეს იყო ერთი ვერსია. (კალანდაძე, 2016, 117.) ამ თემასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული აზრი, რომლის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებს. სულ სხვაგვარად ფიქრობს ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ჟან ტიულარი, რომელიც, როგორც ერთხმად აღნიშნავენ ისტორიკოსები, ნაპოლეონის თავგამოდებული თაყვანისმცემელთა რიცხვს ძალიან ძნელი იქნება მივაკუთვნოთ, მისი დამოკიდებულება ნაპოლეონის რეჟიმისადმი, სულ სხვაგვარი იყო, კრიტიკულია. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჟან ტიულარის მიკუთვნება ანტიბონაპარტისტული ბანაკისადმი, როგორც ამას ხაზს უსვამდა პროფ. ალბერტ მანფრედი, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და მთლად დამაჯერებელი არ უნდა იყოს. (Манфред. 1973, 139) „ნაპოლეონის რეჟიმი არ წარმოადგენს სამხედრო დიქტატურას. სახელმწიფო ხელისუფლებამ შეინარჩუნა სამოქალაქო ხასიათი. ხშირად სახალხო რეფერენდუმზე განსახილველად გამოჰქონდათ სახელმწიფო გადაწყვეტილებები. ეს იმდროინდელი ევროპის პოლიტიკურ პრაქტიკაში უპრეცედენტო შემთხვევა გახლდათ და უცხო იყო, როგორც კონსტიტუციური მონარქის, ისე ლიბერალური რესპუბლიკისათვის. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ნაპოლეონის რეჟიმს ფართო ლავირების საშუალებას უქმნიდა, რასაც ის ახორციელებდა კიდეც“. (ტიულარი, 2012,

Тюлар 1993, Тюлар 1996) საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს მოსაზრება გვხვდება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. სახელდობრ, პროფ. ივანე მენთეშაშვილის წიგნში „ნაპოლეონი“ ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მისი მსჯელობის ერთ-ერთ ღირსებად მიგვაჩნია. ის მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ნაპოლეონის მმართველობა არაა სამხედრო დიქტატურა. „მე იმიტომ კი არ ვმართავ, რომ გენერალი ვარ და ჩემს განკარგულებაშია სამხედრო ძალა, არამედ იმიტომ, რომ ქვეყანა ჩემში სამოქალაქო პირს ხედავს“. (მენთეშაშვილი, 2016, 118) ამიტომ ერთმნიშვნელოვნად სამხედრო დიქტატურაზე საუბარი ძალიან ძნელი იქნება. ალბათ, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და აზრთა სხვადასხვაობას განაპირობებს.

ზოგიერთი ისტორიკოსი (ფ. მინიე, ა. ტიერი, ა. სორელი, ა. სობული, ჟ. და კ. ვილარები, პ. გენიფე) ნაპოლეონის ხანას აღიქვამს, როგორც რევოლუციის პერიოდს ზოგი ისტორიკოსი (ა. ოლარი, ფ. სანიაკი) მხოლოდ ნაწილობრივ უერთდება ამ მოსაზრებას და რევოლუციის ხანად აღიქვამს კონსულობას, ხოლო იმპერიას კი არა. მოხდა თუ არა ნაპოლეონის დროს ძველი რეჟიმის რესტავრაცია, როგორც ეს ერთი შეხედვით შიძლება ჩანდეს და როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს. მიუხედავად მათ შორის არსებული გარეგნული მსგავსებისა, ერთპიროვნული მმართველობის აღდგენისა, მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმა, ალბათ, მაინც არ ღირს და საკამათოა. არის განსხვავება, რომლის გვერდის ავლა, მიზანშეწონილი არ იქნება. ის პრინციპულ ხასიათს ატარებს და, უმთავრესად, თვისებრივ, ხარისხობრივ, ცვლილებებთან ასოცირდება. თუ პირველი უკან მოგვახედებს, მეორეზე ამას ვერ ვიტყვით. მას წინ მივყავართ, თუმცა მას, ბუნებრივია, გააჩნია თავისი შუქ-ჩრდილები, სადაც პირველი აშკარად დომინირებს. ყველაფერი ეს მოხდა თვისობრივად, ხარისხობრივად, სულ სხვა ხარისხში, რაც მკვეთრად განასხვავებს მათ ურთიერთისაგან. ამიტომ მათ შორის ტოლობის ნიშანს ვერ დავსვამთ. უნდა დავეთანხმოთ ისტორიკოს ჯუჩი ტუგან-ბარანოვსკის, რომ „ნაპოლეონის რეჟიმი არ წარმოადგენს რევოლუციასთან კავშირის გაწყვეტას, მაგრამ ის არ წარმოადგენს არც მის გაგრძელებას, განვითარებას, მაგრამ ახალი რეჟიმი თავისი არსით, უფრო მეტად იყო დაკავშირებული რევოლუციასთან, ვიდრე ძველ რეჟიმთან“. (Туган-барановски, 1990, 47. Туган-барановски 1986. Туган-барановски 1993.)

დასკვნა

მაშ ასე, შეიძლება ითქვას, რომ ნაპოლეონის იმიჯმა საინტერესო ევოლუცია განიცადა. ეს იმით გამოიხატება, რომ სწორხაზოვანი დამოკიდებულება თანდათან ჩაანაცვლა, უფრო დაბალანსებულმა, კომპლექსურმა, მიდგომამ. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და წინგადადგმული ნაბიჯია. ეს საინტერესოა. თავდაპირველად პრიორიტეტული იყო, აქცენტი კეთდებოდა, „სამხედრო ბონაპარტიზმზე“. მის ტრიუმფალურ სამხედრო წარმატებებზე და მონუსხული იყვნენ ამ გარემოებით. ნაპოლეონი იყო დიდი მხედართმთავარი, დამპყრობელი, ერთპიროვნული მმართველი, დიქტატორი. ასეთი გახლდათ მისი იმიჯი. სინამდვილეში ეს ასეც იყო. ამას არც არავინ უარყოფს და ამაზე არც არავინ დაობს. მასში მიუღებელს

ვერაფერს ვხედავთ. პირდაპირ ზედაპირზე ძევს და აისბერგის ზედა ხილული ნაწილია. ამაზე მოდი შევთანხმდეთ. მაგრამ აქ წერტილის დასმა ნაადრევი უნდა იყოს და საკმარისი არ იქნება. ის ნაპოლეონის მოღვაწეობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ეს გახლავთ მედლის ერთი მხარე. მას გააჩნია მეორე მხარე. მისი უგულისყუროდ დატოვება მიზანშეწონილი არ იქნება. მხედველობაში გვაქვს ნაპოლეონის საქმიანობის მეორე შეიძლება, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, თუ მეტად არა, საკითხი. ესაა ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რეფორმები „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმი“. ეს ნაპოლეონის საქმიანობის სულ სხვა განსხვავებული რაკურსია. ფართო საზოგადოების თვალში ის დაჩრდილა ნაპოლეონის თვალისმომჭრელმა წარმატებებმა. დიდი ხნის მანძილზე შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა, პერიფერიულ თემად რჩებოდა და კადრში გაცილებით უფრო ნაკლებად ხვდებოდა. ასე ჩამოყალიბდა ნაპოლეონზე ცალმხრივი წარმოდგენა. მას წარმოაჩენდნენ როგორც დიდ მხედართმთავარს, დამპყრობელს, ერთპიროვნულ მმართველს, დიქტატორს. უნდა ითქვას, რომ ასეთი მიდგომა ნაპოლეონის მოღვაწეობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. თითქოს ყველაფერი არ თქმულა. რაღაც კიდევ რჩება სათქმელი. გარკვეული უკმარობის გრძნობა მაინც რჩება, მხედველობაში გვაქვს ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რეფორმები „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმი“. უახლესი ისტორიოგრაფია ცდილობს გაასწოროს ეს შეუსაბამობა და ნაპოლეონის მოღვაწეობის ეს მხარე წინ წამოწიოს, უყურადღებოდ არ დარჩეს. ცდილობს ორივე მხარეს სათანადო ყურადღება დაუთმოს. ეს დაბალანსებული მიდგომა ახლოა რეალობასთან და დაგვეხმარება ნაპოლეონის მოღვაწეობაზე უფრო ადეკვატური წარმოდგენა შევიქმნათ. ამის საუკეთესო ნიმუშია შარლ დე გოლის თვალსაზრისი. „ნაპოლეონმა ერთნაირი გენია ჩადო სამხედრო ხელოვნებაში და მმართველობაში“. ეს ნაპოლეონის მოღვაწეობის ორივე მხარეს ჯეროვან ყურადღებას მიაპყრობს და მასზე საკმაოდ მაღალი აზრის ჩანს. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ შარლ დე გოლს ნაპოლეონი პირდაპირ ცაში აჰყავს და მიწაზე ფეხს არ ადგმევინებს. თუ შარლ დე გოლის თვალსაზრისს ემოციურ მუხტს ჩამოვაშორებთ, მასში, უეჭველად, რჩება ჭეშმარიტების რაციონალური მარცვალი. მთავარი, ვფიქრობთ, სწორედ, ეს უნდა იყოს. შარლ დე გოლი სავსებით მართალია. ნაპოლეონმა ერთნაირი ძალისხმევა ჩადო სამხედრო ხელოვნებაში და მმართველობაში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ამის გამო, ნაპოლეონის გაიდიალება, როგორც ამას შარლ დე გოლი ჩადის, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. შარლ დე გოლის სახით საქმე გვაქვს თავგადაკლულ ბონაპარტისტთან. როგორც ჩანს, მასში მისთვის სასურველი პოლიტიკური მოღვაწის განსახიერებას ხედავდა. ნაპოლეონის სახით, საქმე გვაქვს დიდ მხედართმთავართან, დამპყრობელთან, ერთპიროვნულ მმართველთან, დიქტატორთან, კანონმდებელთან, რეფორმატორთან. მისი მმართველობა წარმოადგენს პოზიტივის და ნეგატივის შერწყმას, ნაზავს, სადაც, როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, შუქი მეტია ჩრდილზე.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ნაპოლეონმა საძირკველი ჩაუყარა ავტორიტარულ სახელმწიფოს. ის ძლიერი ხელისუფლების მოტრფიალე გახლდათ. ეს იყო ცეზარისტული რეჟიმი. მისდამი ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური დამოკიდებულება სწორხაზოვანი იქნება და აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. ცეზარისტული რეჟიმი ერთგვაროვანი არ გახლავთ. სხვადასხვაგვარია. ნაპოლეონის მმართველობა „პროგრესული ცეზარიზმის“ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. (ანთაძე... 2005, 115. კალანდაძე, 2011. 301, კალანდაძე, 2021. 143). პოზიტივი დომინირებს ნეგატივზე, პროგრესული მეტია რეაქციულზე, შუქი ჭარბობს ჩრდილს. ასეთია ნაპოლეონის მმართველობის პლუს-მინუსები.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაპოლეონის რეჟიმი არ წარმოადგენს ჩიხურ გზას. ამას აქვს მნიშვნელობა. სწორედ ამაში მდგომარეობს კიდევ ერთი პრინციპული განსხვავება. ნაპოლეონის რეჟიმს და ფაშიზმს, ნაციზმს და ბოლშევიზმს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხში თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას რეალისტური პოზიცია უჭირავს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მის კიდევ ერთ დადებით მხარედ გვევლინება. (მიქაბერიძე, 2020, 209-213).

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

კალანდაძე, მ. (2021). *ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა საქართველოში.* თბილისი.

კალანდაძე, მ. (2008). *ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში.* თბილისი.

კალანდაძე, მ (2011). ნაპოლეონი დიქტატორი და რეფორმატორი. *ქართული დიპლომატია. წელიწდეული.* 15. თბილისი.

მენთეშაშვილი, ივ. (2016). *ნაპოლეონი.* თბილისი.

მიქაბერიძე, ა. (2020). *ნაპოლეონი, 51 კითხვა და ამდენივე პასუხი.* თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.

ცისკარიშვილი, დ. (1994). *ნაპოლეონი.* წიგნი პირველი. თბილისი.

ტიულარი, ჟ. (2012). *ნაპოლეონი.* თბილისი.

უზნაძე, დ. (1920). *ახალი ისტორია (XVIII-XIXსს.).* თბილისი.

Боботов, С. (1998). *Наполеон Бонапарт - реформатор и законодатель.* Москва: Издательство Контракт.

Грамши, А. (1959). *Избранные произведения.* Т.3. Москва: Издательство иностранной литературы.

История Франции. (1973). Т.2. под редакции А. Манфреда. Москва: Издательство Наука.

Манфред, А. (1973). *Наполеон Бонапарт.* Москва: Издательство Мысль.

Ревякин, А. (2001). *Наполеон и Великая империя- at Европейские монархии в прошлом и настаяшом.* Москва: Издательство Алетейя.

Тарле, Э (1957). *Наполеон*, Москва: Издательство Академии Наук СССР.

Туган - барановский, Д. (1993). *Наполеон и власть.,* Москва: Издательство Благовещенский Государственный Педагогический Университета.

Туган-барановский, (1986). *У истоков бонапартизма (Происхожедение режима Наполеона).* Москва: Издательство Саратовского университета.

Туган-барановский, Д. (1990). *Формирование бонапартического режима во франции в годи консульства. (1799-1804гг).* Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Москва.

Тюлар, Ж. (1993). *Мюрат, или пробуждение нации.*, Москва: Издательство „Терра".

Тюлар, Ж. (1996). Наполеон, Москва: Издательство „Молодая гвардия".

Французские короли и императори. (1997). Р/Д: „Издательство Феникс".

REFERENCES

Kalandadze, M. (2021). *Study of Napoleon's Law-Making Activities in Georgia*. Tbilisi (in Georgian).

Kalandadze, M. (2008). *Napoleon in Georgian Literary Literature*. Tbilisi. Artanuj Publishing House (in Georgian).

Kalandadze, M. (2011). Napoleon Dictator and Reformer. *Georgian Diplomacy. Yearbook.* 15. Tbilisi: Artanuji Publishing House (in Georgian).

Menteshashvili, I. (2016). *Napoleon*. Tbilisi: Palitra L (in Georgian).

Mikaberidze, A. (2020). *Napoleon, 51 Questions and the Same Answers.*, Tbilisi: Artanuji Publishing House (in Georgian).

Tsiskarishvili, D. (1994). *Napoleon*. Book One. Tbilisi: Lomisi (in Georgian).

Tuulari, J. (2012). *Napoleon*, Tbilisi: Agora (in Georgian).

Uznadze, D. (1920). *Modern History (18th-19th centuries)*. Tbilisi: Publishing House of the Literacy Promotion Society (in Georgian).

Bobotov, S (1998). *Napoleon Bonaparte - reformer and legislator*. Moscow: Contract Publishing House (in Russian).

Gramsci, A. (1959). *Selected Works*. V.3. Moscow: Foreign Literature Publishing House (in Russian).

History of France. (1973). V.2 edited by A. Manfred, Moscow: Science Publishing House (in Russian).

Manfred, A. (1973). *Napoleon Bonaparte.* Moscow: Mysl Publishing House (in Russian).

Revyakin, A. (2001). *Napoleon and the Great Empire- at European monarchies in the past and present*. Moscow: Aleteia Publishing House (in Russian).

Tarle, E (1957). *Napoleon*. Moscow: Publishing House of the USSR Academy of Sciences (in Russian).

Tugan-Baranovsky, D. (1993). *Napoleon and powe*r. Moscow: Publishing House of the Blagoveshchensk State Pedagogical University (in Russian).

Tugan-Baranovsky, D. (1986). *At the origins of Bonapartism (The origin of Napoleon's regime). M*oscow: Publishing House of Saratov University (in Russian).

Tugan-Baranovsky, D. (1990). *The formation of the Bonapartist regime in France during the years of the consulate. (1799-1804)*. Abstract of a dissertation for

the degree of Doctor of Historical Sciences. Moscow (in Russian).

Tulard, J. (1993). *Murat, or the Awakening of the Nation.* Moscow: Terra Publishing House (in Russian).

Tulard, J. (1996). *Napoleon* Moscow: Molodaya Gvardiya Publishing House (in Russian).

French Kings and Emperors. (1997). R/D: Phoenix Publishing House (in Russian).

MERAB KALANDADZE

NAPOLEON FROM ANOTHER SIDE

Abstract

What does another Napoleon mean? In this paper, we will try to answer this interesting question as much as possible. The fact that nothing has been written about it in the Georgian language, it has a scientific-popular character, has a purely cognitive load and is a compilation, is the main reason why we are unable to speak on this difficult issue. It will help students to understand this difficult issue. The present work aims to fill this vacuum in Georgian historiography.

Napoleon created an image that he was a great general, a conqueror, a sole ruler, a dictator. In fact it really is. This opinion undoubtedly contains a rational grain of truth. We do not see anything unacceptable in it and no one disputes it. This is one side of the medal, which must be said to be directly on the surface, the top, visible, part of the iceberg and is well read, but it should not be enough and it never gives us a complete, comprehensive, idea of Napoleon's work. Something doesn't fit in the frame. Some component is missing. There is another side to the coin. Napoleon's triumphant military successes, i.e. as it is called "military Bonapartism", is the priority, and the second is no less interesting and important, his law-creating activities, legislation, reforms, i.e. as it was called "administrative Bonapartism" were relatively less in the spotlight. Having been overshadowed and seen as a peripheral topic, recent historiography is trying to correct this relevance, and the issue has been increasingly given more and more attention, brought to the fore. This is obviously very good and a step forward.

It should be noted that Napoleon himself seemed to have a high opinion of his law-making activity and placed it above the battles he won, if not next to them. "I will go down in history not having won forty battles, but what will live forever are my codes." Napoleon did not exaggerate, did not brag. Therefore, an indifferent attitude towards this part of his work would not be appropriate and it gives us a one-sided view of Napoleon's work. According to Charles de Gaulle, "Napoleon invested the same genius in military art and government." That may be a bit of a stretch to say, but he was well aware of both sides of Napoleon's rule and, as you can see, seemed to think quite highly of both.

During the time of Napoleon, the process of industrial revolution is underway. There is a modernization of the old society. The new tries to replace the old. "All roads lead to free enterprise." During the Great French Revolution and the era of Napoleon, the industrial revolution, the process of modernization, becomes irreversible. This largely determines the historical significance of this era. This pro-

cess was not painless and along with the pluses it had its minuses. In the form of Napoleon, we are dealing with a politician who "cleanses the Augean stables of European feudalism." It was a progressive process, which, of course, was not painless and had its ups and downs. It could not be otherwise.

During Napoleon's time, this process was carried out by force, in the conditions of incessant wars, which resulted in countless casualties. Napoleon brought new ideas to the European countries, but renewal was still being implemented in the conquered territories. That was the main thing. The positive dominated the negative. The positive outweighed the negative. There is more light than shadow, but because of this, the helpless glorification of Napoleon, which appears in apologetic literature, is obviously not worth it, it is unnecessary. This was one extreme, which historians called the "golden legend". There is a completely different extreme. Obviously, he portrays Napoleon only in a negative context and refers to him only as an aug. He sees in him a conqueror, a despot, a tyrant, a monster, a bloodt hirsty. The positivity disappeared somewhere, disappeared, as if it never existed. Historians called this "black legend", which was specially studied by the French historian Jean Tuillard. The goal was perfectly acceptable and normal. This cannot be said about the means of achieving the goal. This time, we have to deal with that case. When "the end does not justify the means". It can be said that we are dealing with a "barbaric form of progress" in the form of the Napoleonic Wars. This is how we see it.

Napoleon laid the foundation of the authoritarian state. It was a Caesarian regime. That's right, and we can't see anything sado here. Such is the reality. This is one side of the coin, the coin has another side. Here, obviously, we have in mind the fact that the Caesarist regime is not always uniform, there are different forms of it. Two main categories are distinguished: "progressive Caesarism" and "reactionary Caesarism". To which category can we assign Napoleon's regime? The issue is complex and it will not be an easy task to solve it unambiguously. It will lead to differences of opinion and arguments that will last for a long time and probably will not end. We do not prove anything categorically, and we only express our subjective opinion that perhaps, at least, Napoleon's rule can be considered an example of "progressive Caesarism". American Herbert Brown called Napoleon's regime "liberal authoritarianism".

Napoleon's rule is not a dead end. The main difference between it and the Nazi regime, fascism and Bolshevism, should lie in this.

Thus, an interesting picture emerges. In the form of Napoleon, we are dealing with a great commander, conqueror, sole ruler, dictator, legislator, reformer, dictator, legislation, reformer in a completely different Napoleon, that is exactly what should be meant. Napoleon's successes should not be associated only with his triumphant military victories with "military Bonapartism", but with "administrative Bonapartism". with his law-making activities, reforms. He tried, for better or worse, to spread it to European countries. Renewal was still being implemented in the conquered territories. That was the main thing. The French brought new ideas to Europe with bricks. This was the dark side of progress.

Keywords: Napoleon, Law, Historiography, Codex of Napoleon.